ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3048658

ნომერი: AR1470673

თარიღი : 16.01.2017

გაცემის თარიღი : 17.01.2017

გაცნობის თარიღი : 18.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ქუჩა სტრაბონი , N22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:

- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2016 წ. №3026259 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 16/01/2017 წლის #AR1470673 განცხადებით მომართეს თამაზი მურვანიძემ და გიორგი გომარელმა, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2016 წ. №3026259 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 30.12.2016 წ. №3026259 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქუჩა სტრაბონი #22, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.72.14.040.269), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 30.12.2016 წ. №3026259 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ, არასწორად იქნა მითითებული საზაფხულო ფართობი, რომელიც 481.8 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 484.9 კვ.მ-ს, საერთო ფართი, რომელიც 5079.8 კვ.მ–ის ნაცვლად შეადგენს 5082.9 კვ.მ-ს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 30.12.2016 წ. №3026259 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 484.9;

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებამ, გამოიწვია ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლა, რომელიც ცვლილებების შედეგად შეადგენს: 5082.9 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2016 წ. №3026259 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 484.9; საერთო ფართობი (კვ.მ).: 5082.9;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2016 წ. №3026259 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.